ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების

# ძირითადი პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორთა
საბჭოს 2020 წლის 09 ივნისის #494 სხდომის ოქმით/ბოლო ცვლილებები განხორციელებულია იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2024 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით

ცითერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ტერმინთა განმარტებები.....3
2. განცხადებები და გარანტიები.....5
3. გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის ზოგადი პირობები.....5
4. შემადგენელი ხელშეკრულების ზოგადი პირობები.....7
5. ხელშეკრულების პირობების ცვლილების წესი.....8
6. მონიტორინგი და ანგარიშგება.....9
7. ვალდებულებების უზრუნველყოფა და დაზღვევა.....9
8. მხარეთა პასუხისმგებლობა.....10
9. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა.....11
10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა.....12
11. ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი.....12
12. კომუნიკაცია.....13
13. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია.....13
14. კლიენტების სიმრავლე.....17
15. დასკვნითი დებულებები.....17
№1 დანართი - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის.....18

## 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი (მათ შორის და არამარტო **მომსახურე ანგარიში**);

1.1.2. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი" (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.3. **ბიურო** - საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები);

1.1.4. **განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული ინფორმაცია, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.5. **განცხადებები და გარანტიები - გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები. ასევე, **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** ან/და მის ფარგლებში დადებული გარიგებ(ებ)ით განსაზღვრული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.6. **გენერალური საკრედიტო ხაზი** - **საკრედიტო პროდუქტებით კლიენტის** მომსახურებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის ზოგადი და ძირითადი (მაგრამ არა ამომწურავი) პირობები, რომლის ფარგლებშიც, **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, შესაძლოა **კლიენტმა** ერთჯერადად ან მრავალჯერადად, ისარგებლოს აღნიშნული **საკრედიტო პროდუქტებით**, მათ შორის, ერთი ან რამდენიმე არსებული **საკრედიტო პროდუქტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისთვის, ხელშეკრულებითვე** გათვალისწინებული პირობებით და ვადებში. ამასთან, **მხარეები აცნობიერებენ** და თანხმდებიან, რომ: (ა) **საკრედიტო პროდუქტებით** მრავალჯერადი სარგებლობისას, მაქსიმალური ლიმიტის (თუ ასეთი ლიმიტი დადგენილია **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით**) ფარგლებში ასათვისებელი **საკრედიტო პროდუქტების** მოცულობის გაანგარიშებისას, მხედველობაში არ მიიღება **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** მიერ ათვისებული **საკრედიტო პროდუქტების** ის მოცულობა/ნაწილი, რომელიც **ბანკის** მიმართ უკვე შესრულებულია, (ბ) ერთი ან რამდენიმე არსებული **საკრედიტო პროდუქტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისას** (მათ შორის, არსებული **საკრედიტო პროდუქტის** ფარგლებში თანხის ათვისება ან/და ახალი **საკრედიტო პროდუქტის** მიღება/გამოყენება) დასარეფინანსირებელი ვალდებულება არ მიიღება მხედველობაში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მაქსიმალური ლიმიტის გაანგარიშებისას, (გ) იმ შემთხვევაში, თუ **გენერალური საკრედიტო ხაზი** დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში, **ბანკის** გადაწყვეტილებით ერთი ან რამდენიმე **საკრედიტო პროდუქტის** გაცემა/მიწოდება შეიძლება განხორციელდეს სხვა ვალუტაში და ვალუტის კურსის ცვლილებამ გამოიწვიოს **გენერალური საკრედიტო ხაზის** ლიმიტის გადაჭარბება და (დ) ნებისმიერ შემთხვევაში **გენერალური საკრედიტო ხაზის** ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევად და **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.

1.1.7. **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ძირითადი პირობები, რომელიც წარმოადგენს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge;

1.1.8. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება - ბანკსა** და **კლიენტს** შორის მატერიალური ან ელექტრონული ფორმით დადებული ჩარჩო გარიგება, რომელიც მოიცავს **კლიენტის საკრედიტო პროდუქტებით** მომსახურების ზოგად და სპეციფიურ (მაგრამ არა ამომწურავ) ასევე, **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებს;**

1.1.9. **გრაფიკი** - **მხარეთა** შორის შეთანხმებული გადახდის გრაფიკი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), რომელიც ასევე შეიძლება იყოს შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების დანართის** სახით და რომლითაც **ბანკი** განსაზღვრავს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხის, მათ შორის **კრედიტის თანხის და დოკუმენტურ ოპერაციებთან** ან/და სხვა **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებული გადასახდელების გადახდის მოცულობას, პერიოდულობას ან/და სხვა პირობებს;

1.1.10. **დაკავშირებული ხელშეკრულება** - **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად, **მხარეებს** შორის ან/და **მხარეთა** მონაწილეობით **მესამე პირთან** მატერიალური ან ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებ(ებ)ი, მათში შესული ცვლილებ(ებ)ისა და დამატებ(ებ)ის ჩათვლით (მათ შორის და არამარტო უზრუნველყოფის ხელშეკრულებები, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებები, დაზღვევის ხელშეკრულებ(ებ)ი, ასევე **ბანკის**, როგორც ბენეფიციარის, სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა);

1.1.11. **დანართი** - **მხარეთა** შორის მატერიალური ან ელექტრონული ფორმით დადებული ნებისმიერი დანართი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კომერციული პირობები**). **დანართი** წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

1.1.12. **დამვალებელი მხარე - პირი,** რომლის დავალების საფუძველზეც **ბანკი** გასცემს **საბანკო გარანტიას, აკრედიტივს** ან **დოკუმენტური ოპერაციის** სხვა პროდუქტს და რომელიც უზრუნველყოფს **ბანკის** მიმართ წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. **დამვალებელ მხარეს** შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც **პრინციპალი (აპლიკანტი)**, ისე **მესამე პირი.**

1.1.13. **დეპოზიტი -** ნებისმიერი სახის ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, მათ შორის დეპოზიტი (ანაბარი), სადეპოზიტო სერტიფიკატი ან/და სხვა სახის სადეპოზიტო პროდუქტი;

1.1.14. **დოკუმენტური ოპერაციები - გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი **საკრედიტო პროდუქტები** - საბანკო გარანტია, აკრედიტივი, სარეზერვო, ანუ სტენდ-ბაი (Stand-By) აკრედიტივი, დოკუმენტური ინკასო ან/და სხვა დოკუმენტური ოპერაციები;

1.1.15. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.16. **კლიენტი/მსესხებელი** - **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** ან/და **შემადგენელი ხელშეკრულებით** ასეთად განსაზღვრული **პირი**, აგრეთვე არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ები), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს** (**დოკუმენტური ოპერაციების** მიზნებისთვის **კლიენტი** შეიძლება მოხსენიებული იყოს, როგორც „პრინციპალი" ან „აპლიკანტი");

1.1.17. **კომერციული პირობები - გენერალური საკრედიტო ხაზით** სარგებლობის პირობები, ასევე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისათვის **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დადგენილი კომერციული რეგულაციები (მათ შორის ფინანსური, მონიტორინგის და ინფორმაციის გაცემის და ა.შ. პირობები), რომელიც წარმოადგენს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.

1.1.18. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, შემადგენელი ხელშეკრულებები, ხელშეკრულების** დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირის**, **მესამე პირთან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.19. **კრედიტი** (ან **საბანკო კრედიტი** ან **სესხი**) - დაბრუნების, სასყიდლიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე **ბანკის** მიერ **კლიენტზე** გასაცემი თანხის მოცულობა, მათ შორის და არამარტო **საბანკო კრედიტის, საკრედიტო ხაზის** ან/და **ოვერდრაფტის ხელშეკრულებების** ფარგლებში გასაცემი თანხის მოცულობა;

1.1.20. **კრედიტის თანხა - გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში და შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების** საფუძველზე **კლიენტის** მიერ **კრედიტის** სახით ათვისებული/მიღებული თანხები;

1.1.21. **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები - ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული კლიენტის ნებისმიერი ფულადი ვალდებულება, მათ შორის **კრედიტის თანხა**, **საპროცენტო სარგებელი**, **საკომისიო**, **პირგასამტეხლო,** რეგრესული ანაზღაურების თანხა, ან/და სხვა ხარჯები/გადასახდელები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა);

1.1.22. **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტი - ბანკის** მიერ გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე), გაცემული **საკრედიტო პროდუქტი**;

1.1.23. **მესამე პირი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.24. **მიზნობრიობა - ხელშეკრულებით** (მათ შორის შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით)** განსაზღვრული ქმედება ან/და მიზანი, რომლის შესრულებასაც ემსახურება **საკრედიტო პროდუქტით** მომსახურება;

1.1.25. **მომსახურე ანგარიში - ბანკის** მიერ განსაზღვრული **ანგარიში**, რომელზეც განთავსებული ფულადი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება **კრედიტის თანხის** ან/და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** გადახდა;

1.1.26. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.27. **ოვერდრაფტი** - დაბრუნების, სასყიდლიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე, **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **კლიენტის ანგარიშზე** (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ხელმისაწვდომი სადებეტო ნაშთი - **კრედიტი**, რომლითაც ერთჯერადად ან მრავალჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს **კლიენტი** და რომელიც, თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **კლიენტის ანგარიშზე** თანხის ასახვისას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ოვერდრაფტის** მაქსიმალური ლიმიტის (მაქსიმალური სადებეტო ნაშთის) მოცულობის გაანგარიშებისას: მხედველობაში არ მიიღება (ა) **ოვერდრაფტის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, **კლიენტის** მიერ ათვისებული **კრედიტის** ის ნაწილი, რომელიც **ბანკის** მიმართ უკვე შესრულებულია; (ბ) ასევე ერთი ან რამდენიმე **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისას** დასარეფინანსებელი ვალდებულების თანხები (დასარეფინანსებელი თანხის მოცულობა), მიუხედავად იმისა, თუ ექნება ადგილი, როგორც დასარეფინანსირებელი საკრედიტო ვალდებულების, ისე ახალი **კრედიტის თანხის** ერთობლივად ასახვას **კლიენტის** ანგარიშზე და ორივე ნაშთი, რეფინანსირების განხორციელებამდე, იარსებებს ერთობლივად გარკვეული პერიოდის განმავლობაში; ამასთან, თუ **ოვერდრაფტი** დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხა** ან მისი ნაწილის გაცემა მოხდა სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **ოვერდრაფტის** მოცულობის/ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევად და **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.28. **ოვერდრაფტის ხელშეკრულება - შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია (მაგრამ არა ვალდებული), დამტკიცებული **ოვერდრაფტის** ფარგლებში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს **კრედიტის თანხა**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.29. **პერსონალური მონაცემები** - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;

1.1.30. **პირგასამტეხლო – ხელშეკრულებით** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც **კლიენტს** წარმოეშვება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

1.1.31. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.32. **რეფინანსირება - ბანკის** მიმართ არსებული ერთი ან რამდენიმე **კრედიტის თანხის** (ფულადი ვალდებულებების) სრული ან ნაწილობრივი დაფარვა სხვა **შემადგენელი ხელშეკრულების** საფუძველზე **კლიენტისათვის** ახალი **კრედიტის თანხის** გაცემის გზით;

1.1.33. **საბანკო გარანტია - შემადგენელი ხელშეკრულების** საფუძველზე გაცემული საგარანტიო ვალდებულება მესამე პირის (ბენეფიციარის) წინაშე, რომლითაც **ბანკი** უზრუნველყოფს პრინციპალის/დამვალებელი მხარის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას;

1.1.34. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.35. **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება - შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია (მაგრამ არა ვალდებული) **კლიენტის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.36. **საპროცენტო განაკვეთი** ან **პროცენტი - ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული ფიქსირებული, ცვლადი ან/და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მოცულობა, რომელიც იანგარიშება **კლიენტის** მიერ ათვისებული **კრედიტით** სარგებლობის ფაქტიური კალენდარული დღეების შესაბამისად, წელიწადში მაქსიმუმ 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით;

1.1.37. **საპროცენტო სარგებელი – გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების**, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების**, **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების**, **ოვერდრაფტის ხელშეკრულებისა**, **დოკუმენტური ოპერაციების** წარმოების ან/და სხვა **საკრედიტო პროდუქტის** ხელშეკრულების შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე და მათი პირობების შესაბამისად **კრედიტით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით**, **დოკუმენტური ოპერაციებით** ან/და სხვა **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობისათვის დაწესებული **ბანკისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომელიც დაიანგარიშება შესაბამისი **კრედიტის თანხის** ((ხოლო (ა) **დოკუმენტური ოპერაციის** შემთხვევაში, ამგვარი ოპერაციის მოცულობის თანხის; (ბ) სხვა **საკრედიტო პროდუქტის** შემთხვევაში, ამ **საკრედიტო პროდუქტისთვის** შესაბამისი **ხელშეკრულებით** განსაზღვრული თანხის)) ფიქსირებული, ცვლადი ან/და ინდექსირებული **პროცენტიდან** და რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება **ხელშეკრულებით** ან/და **შემადგენელი ხელშეკრულებით**. თუ **ბანკი** ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს **ხელშეკრულებას**, **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება იძულებითი ან **კლიენტის** მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით;

1.1.38. **საკომისიო – ხელშეკრულების** საფუძველზე, შესაბამისი საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისათვის **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დაწესებული გადასახად(ებ)ი;

1.1.39. **საკრედიტო პროდუქტი** - საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტი,** საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ნებისმიერი სახის დოკუმენტური ოპერაცია, სავალუტო ოპერაცია, ფაქტორინგი ან/და სხვა საბანკო პროდუქტი ან/და **ბანკის** ნებისმიერი საკრედიტო მოთხოვნა, რასაც **ბანკი** თავისი შეხედულებით განსაზღვრავს საკრედიტო პროდუქტად;

1.1.40. **საკრედიტო ხაზი - ხელშეკრულების** საფუძველზე **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დადგენილი მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც **კლიენტი** უფლებამოსილია ერთჯერადად ან მრავალჯერადად აითვისოს და დაფაროს **კრედიტის თანხა** იმგვარად, რომ **კრედიტის თანხის** ათვისების მომენტში ათვისებული **კრედიტების თანხის** ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **ხელშეკრულებით** დადგენილ **საკრედიტო ხაზის** ლიმიტს და ამავდროულად, **კლიენტის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** სრულად დაფარვა განხორციელდეს **საკრედიტოს ხაზის** მოქმედების ვადის დასრულებამდე. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტოს ხაზის** მაქსიმალური ლიმიტის (მაქსიმალური სადებეტო ნაშთის) მოცულობის გაანგარიშებისას: მხედველობაში არ მიიღება (ა) **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, **კლიენტის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** ის ნაწილი, რომელიც **ბანკის** მიმართ უკვე შესრულებულია; (ბ) ასევე ერთი ან რამდენიმე **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისას** დასარეფინანსებელი ვალდებულების თანხები (დასარეფინანსებელი თანხის მოცულობა), მიუხედავად იმისა, თუ ექნება ადგილი როგორც დასარეფინანსირებელი საკრედიტო ვალდებულების, ისე ახალი **კრედიტის თანხის** ერთობლივად ასახვას **კლიენტის** ანგარიშზე და ორივე ნაშთი, რეფინანსირების განხორციელებამდე, იარსებებს ერთობლივად გარკვეული პერიოდის განმავლობაში; ამასთან, თუ **საკრედიტო ხაზი** დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხა** ან მისი ნაწილის გაცემა მოხდა სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **საკრედიტო ხაზის** მოცულობის/ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევად და **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულებით**) ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.41. **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება** - **შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია (მაგრამ არა ვალდებული), **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში, **კლიენტის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **საკრედიტო ხაზის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე სრულად

დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.42. **უზრუნველყოფის საშუალება** - ნებისმიერი საშუალება (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა, საბანკო გარანტია და სხვა), რომლითაც **დაკავშირებული ხელშეკრულების** საფუძველზე უზრუნველყოფილია **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

1.1.43. **შემადგენელი ხელშეკრულება** - **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში **მხარეთა** შორის დადებული ხელშეკრულებები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, მათ შორის და არამარტო: **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება**, **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება**, **ოვერდრაფტის ხელშეკრულება**, **დოკუმენტური ოპერაციების** ხელშეკრულებები (საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, აკრედიტივის ხელშეკრულება, Stand by აკრედიტივის ხელშეკრულება, დოკუმენტური ინკასო) ან/და **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული სხვადასხვა **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები;

1.1.44. **ხელშეკრულება** - **მხარეთა** შორის შეთანხმებული **განაცხადის** (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების**, **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების,** მოცემული ხელშეკრულებების თავსართის, **შემადგენელი ხელშეკრულების**, **კომერციული პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, **დანართის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც **ხელშეკრულების** და **დაკავშირებული ხელშეკრულების** დადების, ხელმოწერის და შესრულების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის (**კლიენტის**) მიერ **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან**, ნებისმიერ სხვა კანონმდებლობასთან, რომლის იურისდიქციის ქვეშაც მოქმედებს/საქმიანობს **კლიენტი**, საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის რეგულაციებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით **კლიენტის** მიერ ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირისათვის ხელშეკრულებაზე** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. არ მონაწილეობს (მოპასუხის, მოსარჩელის, მესამე პირის ან სხვა სახით) სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, სამოქალაქო, სისხლის ან/და ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო ინფორმაცია **მესამე პირის** წინაშე არსებული ვალდებულებების შესახებ) არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება **კანონმდებლობას** ან/და ნებისმიერ სხვა კანონმდებლობას, რომლის იურისდიქციის ქვეშაც მოქმედებს/საქმიანობს **კლიენტი**, და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვანთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების** შრომას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკის** ან/და **მესამე პირის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის** ან მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას, მუქარას, შეცდომაში შეყვანას ან/და სხვაგვარ ზემოქმედებას, **ბანკს** არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.1.8. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** პირობები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი **საკომისიო** და **პირგასამტეხლო**) და ადასტურებს, რომ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო** არ წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ **პირგასამტეხლოს**;

2.1.9. დაიცავს გარემოს დაცვის, შრომითი, სოციალური დაცვის და ჯანდაცვის **კანონმდებლობის** მოთხოვნებს და დარღვევის ან/და დარღვევის საშიშროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობებს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ და ასევე, **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში შეუთანხმებს **ბანკს** ან/და გაითვალისწინებს **ბანკის** რეკომენდაციებს აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად;

2.1.10. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკისათვის** სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება **საკრედიტო პროდუქტის** მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი **კრედიტის** მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი **კრედიტის** არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს საკმარის საფუძველს **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შესაწყვეტად და წარმოადგენს **კანონმდებლობით** დასჯად ქმედებას.

2.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე** ცალმხრივი უარის სათქმელად.

## 3. გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის ზოგადი პირობები

3.1. ***<u>განაცხადის წარდგენა და შემადგენელი ხელშეკრულების დადება</u>***

3.1.1. **გენერალური საკრედიტო ხაზის** პირობების ფარგლებში **ბანკი** შეუზღუდავად განიხილავს **კლიენტის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით** მომსახურების მოთხოვნის **განაცხადს**.

3.1.2. **კლიენტი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკის** მიერ **განაცხადის** დაკმაყოფილება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების, **საკრედიტო ხაზის**, **ოვერდრაფტის** ფარგლებში ან დამოუკიდებლად **კრედიტის** გაცემის/დამტკიცების, **დოკუმენტური ოპერაციების** წარმოების ან/და სხვა **საკრედიტო პროდუქტის** გაცემის **განაცხადს** და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. **ბანკის** უარი **განაცხადის** დაკმაყოფილებაზე არ საჭიროებს **ბანკის** მხრიდან რაიმე სახის წერილობით ან/და ზეპირ დასაბუთებას.

3.1.3. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში **კლიენტთან** დადოს **შემადგენელი ხელშეკრულება**, გასცეს **საკრედიტო პროდუქტი**, ის მხოლოდ განსაზღვრავს **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების, **საკრედიტო პროდუქტის** გაცემის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების, **საკრედიტო პროდუქტის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.1.4. **ბანკი** მომსახურებას (დაფინანსებას) ახორციელებს იმგვარად, რომ **განაცხადის** დაკმაყოფილების და შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების შემთხვევაში ათვისებული **კრედიტის თანხის,** აქტიური **დოკუმენტური ოპერაციების** და სხვა **საკრედიტო პროდუქტების** მოქმედმა ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **გენერალური საკრედიტო ხაზის** ერთიან საკრედიტო ლიმიტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ითვალისწინებდეს დროის გონივრულ პერიოდს, **გენერალური საკრედიტო ხაზის** მოქმედების ვადის დასრულებამდე, **კლიენტის** მიერ **შემადგენელი ხელშეკრულებებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

3.1.5. **გენერალური საკრედიტოს ხაზით მომსახურების ხელშეკრულების კლიენტის** თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია დადებული იქნას **შემადგენელი ხელშეკრულება მესამე პირთან**, რა შემთხვევაშიც აღნიშნული პირი (მიუხედავად იმისა აისახება თუ არა მისი მონაცემები დამატებით **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაში**) **გენერალური საკრედიტოს ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** თანახმად ჩაითვლება **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალედ.
3.1.6. თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, **გენერალური საკრედიტო ხაზის** ფარგლებში მომსახურების განხორციელების მიზნებისთვის, **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **კლიენტი** ვალდებულია იქონიოს **ბანკში** მიმდინარე (საანგარიშსწორებო) საბანკო ანგარიში **საკრედიტო პროდუქტის** თანხის შესაბამის ვალუტაში.

3.2. *<u>ხელშეკრულებისა და დაკავშირებული ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები</u>*

3.2.1. **შემადგენელი ხელშეკრულება** დადებისთანავე განიხილება, როგორც **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობები. შესაბამისად, ის პირობები, რაც შეთანხმებულია **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით,** აღარ საჭიროებს **შემადგენელ ხელშეკრულებაში** დამატებით შეთანხმებას.
3.2.2. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებისა** და **შემადგენელი ხელშეკრულების** და **მათი დანართებით** განსაზღვრულ პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭება:
3.2.2.1. პირველ რიგში **შემადგენელი ხელშეკრულების** და მისი **დანართის** პირობებს.
3.2.2.2. ხოლო შემდგომ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** და მისი **დანართის** პირობებს;
3.2.3. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობებსა და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებს** შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა მიენიჭება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობებს.
3.2.4. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობებსა (მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებს**) და მისი **დანართის** პირობებს შორის ან/და **შემადგენელ ხელშეკრულების** ძირითად პირობებსა და მისი **დანართის** პირობებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა მიენიჭება **დანართის** პირობებს;
3.2.5. **დაკავშირებული ხელშეკრულების** არსებობისას, **დაკავშირებული ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ ხელშეკრულებას, რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

3.3. *<u>საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი</u>*

3.3.1. **კლიენტი** ვალდებულია შესაბამისი **ხელშეკრულებითვე** განსაზღვრული მოცულობით და პერიოდულობით, **ანგარიშზე** განათავსოს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** ოდენობის თანხა, რომელსაც **ბანკი** უაქცეპტოდ ჩამოჭრის **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** და მიმართავს **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვადამოსული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.
3.3.2. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
3.3.2.1. განახორციელოს **ბანკში კლიენტის ანგარიშზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და
3.3.2.2. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადის დადგომიდან ნებისმიერ დროს, ამ ვალდებულებ(ებ)ის დაფარვის მიზნით **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ფულადი სახსრები.
3.3.2.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია თანხის ჩამოწერის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება (ასეთის არსებობისას) ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**.
3.3.3. თუ **შემადგენელი ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **კლიენტი** ვალდებულია **კრედიტის** დამტკიცების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) სრულად (ერთ ტრანშად) გადაიხადოს **კრედიტის თანხიდან ბანკის** მიერ **კრედიტის თანხის** გაცემისთანავე, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილია **კრედიტის** დამტკიცების **საკომისიოს** ჩამოწერა განახორციელოს **ანგარიშიდან კრედიტის** გაცემისას ან გაცემის შემდგომ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე.
3.3.4. ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი თანხები გადახდილია **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**, ასეთის არსებობისას) გათვალისწინებულ ვადებში. თუ **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**, ასეთის არსებობისას) დადგენილი გადახდის დღე წარმოადგენს არასაბანკო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო **საბანკო დღეს**.
3.3.5. **გრაფიკი** დგება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. მატერიალური ფორმით გრაფიკის შედგენისას, ის დგება 2 (ორი) ეგზემპლარად რომლის ერთი პირი რჩება **ბანკს** ხოლო მეორე პირი გადაეცემა **კლიენტს**. რამდენიმე მატერიალური ფორმით **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცულ **გრაფიკის** ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული ელექტრონული **გრაფიკის** (შესაბამისი პროგრამული ჩანაწერის) პირობებს. თუ **გრაფიკი** დგება ელექტრონული ფორმით, მასზეც წვდომის უფლება ასევე გადაეცემა **კლიენტს**. რამდენიმე ელექტრონული **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცული **გრაფიკის** ელექტრონული ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული **გრაფიკის** პროგრამული ჩანაწერის პირობებს.
3.3.6. თუ **შემადგენელი ხელშეკრულებით** ან/და **მხარეთა** შორის დადებული სხვა შესაბამისი გარიგებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში** გაცემული **საკრედიტო პროდუქტის** და მასთან **დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **პირგასამტეხლო, საკომისიო** თანხები, შემდეგ **პროცენტი** და ბოლოს **კრედიტის თანხა/** რეგრესული ანაზღაურების თანხა/ **საკრედიტო პროდუქტის** ძირითადი თანხა**.** ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.
3.3.7. თუ **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს **ხელშეკრულების** ფარგლებში ან/და სხვადასხვა **შემადგენელი ხელშეკრულებებიდან** გამომდინარე ვადამოსული ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებას შესაბამისი ვალდებულებების შესრულების (სრულად ან ნაწილობრივ) რიგითობას განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ.
3.3.8. **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვა, თუ **კლიენტს** (მათ შორის თანამსესხებელს) **ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **კლიენტის** (მათ შორის თანამსესხებლის) მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** (მათ შორის თანამსესხებლის) ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.
3.3.9. **ხელშეკრულების** საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნას) **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ვადებში, ხოლო აღნიშნული პირობის არარსებობისას შესაბამისი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობიდან (**პირგასამტეხლოს**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან) 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.
3.3.10. **საკრედიტო პროდუქტის** წინსწრებით ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის/ ჩანაცვლების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე, თუ **კანონმდებლობით** შეტყობინების უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.
3.3.11. **კრედიტის** წინსწრებით ვადაზე ადრე ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში **კლიენტს** აქვს შესაძლებლობა აირჩიოს **კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემდეგ სამ ოფციას (ალტერნატივას) შორის ერთ-ერთი:
3.3.11.1. *<u>ბაზისური ოფცია</u>*: **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის ბაზისური ოფცია გააქტიურებულია ავტომატურად. თუ **კლიენტმა კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის მომენტისთვის არ აირჩია ან/და არ მოთხოვა **ბანკს** ქვემოთ მოცემული რომელიმე სხვა ოფცია, ბაზისური ოფციის მოქმედების პირობებში **კლიენტის** მიერ **კრედიტის** წინსწრებით ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში დაიფარება **კრედიტის თანხა** და მომდევნო თვიდან **კლიენტს** საშუალება ექნება დაფაროს მხოლოდ **კრედიტის თანხაზე** დარიცხული პროცენტი. **კლიენტის** მიერ მხოლოდ **საპროცენტო სარგებლის** დაფარვა განხორციელდება იმ შენატანამდე,

რომლამდეც **კლიენტის** მიერ წინსწრებით დაფარული **კრედიტის თანხა** იქნება საკმარისი. მას შემდეგ რაც ამოიწურება **კლიენტის** მიერ წინსწრებით დაფარული **კრედიტის თანხა კრედიტის** დაფარვა გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის თავდაპირველად შეთანხმებული **გრაფიკის** მიხედვით;

3.3.11.2. ***ვადის შემოკლების ოფცია:*** **კლიენტს** ვადის შემოკლების ოფციის გააქტიურება შეუძლია თუ **კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის მომენტისთვის აირჩევს ამ ოფციას. ვადის შემოკლების ოფციის მოქმედების პირობებში, **კლიენტის** მიერ **კრედიტის** წინსწრებით ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, კრედიტის დაფარვის შენატანები და მათი გადახდის თარიღი არ შეიცვლება, მაგრამ შესაბამისად შემცირდება **გრაფიკით** გათვალისწინებული კრედიტის დაფარვის ვადა/ **კრედიტის** მოქმედების ვადა;

3.3.11.3. ***შენატანების შემცირების ოფცია:*** **კლიენტს** შენატანების შემცირების ოფციის გააქტიურება შეუძლია თუ **კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის მომენტისთვის აირჩევს ამ ოფციას. შენატანების შემცირების ოფციის მოქმედების პირობებში, **კლიენტის** მიერ **კრედიტის** წინსწრებით ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში ხდება კრედიტის დაფარვის თავდაპირველი **გრაფიკით** გათვალისწინებული შენატანების გადაანგარიშება **გრაფიკით** გათვალისწინებული დაფარვის ვადის/**კრედიტის** მოქმედების ვადის უცვლელად. შედეგად, კრედიტის დასაფარად აუცილებელი ყოველთვიური შენატანის მოცულობა მცირდება, ხოლო **გრაფიკით** გათვალისწინებული კრედიტის გადახდის ვადა/**კრედიტის** მოქმედების ვადა რჩება უცვლელი.

3.3.12. **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 3.3.11 პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს ასევე იმ **საკრედიტო პროდუქტებთან** მიმართებაშიც, რომლის ფულადი ვალდებულებების შესრულების წესი და სტრუქტურა **კრედიტის** დაფარვის წესის ანალოგიურია.

3.3.13. **საკომისიოს** ან/და **პირგასამტეხლოს** დარიცხვის (გადახდის) მომენტში, თუ **კანონმდებლობით** (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილია **საკომისიოს** ან/და **პირგასამტეხლოს** განაკვეთები, რომელთა მოცულობა უფრო დაბალია, ვიდრე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **საკომისიოს** ან/და **პირგასამტეხლოს** განაკვეთები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს **კანონმდებლობით** (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილი **საკომისიოს** ან/და **პირგასამტეხლოს** მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

3.3.14. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტის** მიერ ვადაზე ადრე (წინსწრებით) დასაფარად **ბანკისათვის** არასამუშაო საათებში მიმართვის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა განახორციელოს მომდევნო **საბანკო დღეს**, სამუშაო საათებში, ფაქტობრივი დაფარვის დღის მდგომარეობით. მხოლოდ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, სამუშაო საათებად განისაზღვრება: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღე 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათი 10:00 სთ-დან 14:30 სთ-მდე (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა).

## 4. შემადგენელი ხელშეკრულების ზოგადი პირობები

4.1. *საბანკო კრედიტის ხელშეკრულება*

4.1.1. **ბანკის** მიერ **კლიენტის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** და **კლიენტი** გააფორმებენ **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას**, რის საფუძველზეც განისაზღვრება **კრედიტით** სარგებლობის კონკრეტული პირობები და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება (მაგრამ არა ვალდებული) **კლიენტის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტის თანხა**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით**) ნაკისრი ვალდებულებები.

4.1.2. თუ **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** უზრუნველყოფილია სხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობისას **კლიენტის** მიერ ვალდებულებების შესრულება **ბანკის** წინაშე, **ბანკი** უფლებამოსილია გაფორმებული **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მიზნობრიობის** შესაბამისად გასცეს **კლიენტზე კრედიტის თანხა** მისი დამატებითი მოთხოვნის ან/და თანხმობის გარეშე და გაცემული **კრედიტის თანხა** მიმართოს **კლიენტის ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

4.1.3. **ბანკის** მიერ **კრედიტის თანხა** გაცემულად, ხოლო **კლიენტის** მიერ მიღებულად/ათვისებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც **კრედიტის თანხა** ასახული იქნება/ჩაირიცხება **კლიენტის მომსახურე ანგარიშზე**.

4.1.4. **კლიენტი** ვალდებულია ათვისებული **კრედიტის თანხა** გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული **მიზნობრიობით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.1.5. **კრედიტის თანხის** ათვისების შემთხვევაში **კრედიტის თანხაზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **კრედიტის თანხის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხვის კალენდარული დღიდან.

4.1.6. **კლიენტი** ვალდებულია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის თანხა** და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** გადაიხადოს წინამდებარე პუნქტით და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 3.3 პუნქტით დადგენილი წესით.

4.2. *საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება*

4.2.1. **ბანკის** მიერ **კლიენტის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** და **კლიენტი** გააფორმებენ **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას**, რომლის ფარგლებშიც **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება (მაგრამ არა ვალდებული) ერთჯერადად ან მრავალჯერადად აითვისოს და დაფაროს **კრედიტის თანხა**, იმგვარად რომ **კრედიტის თანხის** ათვისებისას ათვისებული **კრედიტების თანხის** ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით** დადგენილ **საკრედიტო ხაზის** ლიმიტს და ამავდროულად, **კლიენტის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** სრულად დაფარვა განხორციელდეს **საკრედიტოს ხაზის** მოქმედების ვადის დასრულებამდე;

4.2.2. თუ **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით** უზრუნველყოფილია სხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობისას **კლიენტის** მიერ ვალდებულებების შესრულება **ბანკის** წინაშე, **ბანკი** უფლებამოსილია გაფორმებული **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მიზნობრიობის** შესაბამისად გასცეს **კლიენტზე კრედიტი** მისი დამატებითი მოთხოვნის ან/და თანხმობის გარეშე და გაცემული **კრედიტის თანხა** მიმართოს **კლიენტის ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

4.2.3. **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში **ბანკის** მიერ **კრედიტის თანხა** გაცემულად, ხოლო **კლიენტის** მიერ მიღებულად/ათვისებულად ჩაითვლება, მას შემდეგ რაც **კრედიტის თანხა** ასახული იქნება/ჩაირიცხება **კლიენტის მომსახურე ანგარიშზე**.

4.2.4. **საკრედიტო ხაზის** ათვისებისას, თითოეული ახალი ტრანშის სახით **კრედიტის თანხის** მიღების მიზნით **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი.

4.2.5. **კლიენტი** ვალდებულია **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში ათვისებული **კრედიტის თანხა** გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული **მიზნობრიობით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.2.6. ტრანშის სახით თითოეული **კრედიტის თანხის** ათვისების შემთხვევაში **კრედიტის თანხაზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **კრედიტის თანხის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხვის კალენდარული დღიდან.

4.2.7. **კლიენტი** ვალდებულია **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის თანხა** და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** გადაიხადოს წინამდებარე პუნქტით და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების 3.3.** პუნქტით დადგენილი წესით.

4.3. *ოვერდრაფტის ხელშეკრულება*

4.3.1. **ბანკის** მიერ **კლიენტის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** და **კლიენტი** გააფორმებენ **ოვერდრაფტის ხელშეკრულებას**, რომლის ფარგლებშიც **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება (მაგრამ არა ვალდებული) ერთჯერადად ან მრავალჯერადად აითვისოს და დაფაროს მის **მომსახურე ანგარიშზე** (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ხელმისაწვდომი თანხა - **კრედიტის თანხა**, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს **კლიენტი** და რომელიც, თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ასახვისას;

4.3.2. თუ **ოვერდრაფტის ხელშეკრულებით** უზრუნველყოფილია სხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობისას **კლიენტის** მიერ ვალდებულებების შესრულება **ბანკის** წინაშე, **ბანკი** უფლებამოსილია გაფორმებული **ოვედრაფტის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მიზნობრიობის** შესაბამისად გასცეს **კლიენტზე კრედიტის თანხა** მისი დამატებითი მოთხოვნის ან/და თანხმობის გარეშე და გაცემული **კრედიტის თანხა** მიმართოს **კლიენტის ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

4.3.3. **კლიენტი** ვალდებულია **ოვერდრაფტის** ფარგლებში ათვისებული **კრედიტის თანხა** გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული **მიზნობრიობით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4.3.4. **ბანკი საპროცენტო სარგებელს** დაარიცხავს **ოვერდრაფტის** ფარგლებში **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომ სრულ **კრედიტის თანხას,** მიუხედავად იმისა, **კლიენტი მომსახურე ანგარიშიდან** სრულად ან ნაწილობრივ გამოიტანს/გაანაღდებს თუ არა აღნიშნულ თანხას.
4.3.5. **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვას **ბანკი** დაიწყებს **ოვერდრაფტის** ფარგლებში **კლიენტის მომსახურე ანგარიშზე კრედიტის თანხის** ხელმისაწვდომობის დაშვების კალენდარული დღიდან.
4.3.6. **კლიენტი** ვალდებულია **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** საფუძველზე ათვისებული **კრედიტის თანხა** და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** გადაიხადოს წინამდებარე პუნქტით და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 3.3. პუნქტით დადგენილი წესით.

4.4. ***დოკუმენტური ოპერაციები***
4.4.1. **ბანკის** მიერ **კლიენტის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **დოკუმენტური ოპერაციებით** სარგებლობის მიზნით **ბანკი** და **კლიენტი** გააფორმებენ შესაბამის **შემადგენელ ხელშეკრულებას** საბანკო გარანტიის, დოკუმენტური ინკასოს, აკრედიტივის ან/და Stand by აკრედიტივის, მომსახურების თაობაზე. აღნიშნული **შემადგენელი ხელშეკრულებით** განსაზღვრული იქნება შესაბამისი მომსახურების კონკრეტული პირობები, პროცედურები და წესი.
4.4.2. **დოკუმენტური ოპერაციებით** სარგებლობისას **კლიენტი** უფლებამოსილია ერთჯერადად ან მრავალჯერადად ისარგებლოს საბანკო გარანტიით, დოკუმენტური ინკასოთი, აკრედიტივით, Stand by აკრედიტივით, იმგვარად, რომ აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილმა ფულადმა ვალდებულებებმა და მოქმედების ვადებმა არ გადააჭარბოს **გენერალური საკრედიტო ხაზით** დადგენილ ლიმიტებს (მოქმედების ვადას, ერთიან საკრედიტო ლიმიტს და ა.შ. ასეთი ლიმიტების არსებობის შემთხვევაში).

4.5. ***სხვა შემადგენელი ხელშეკრულებით სარგებლობის პირობები***
4.5.1. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების საფუძველზე, შესთავაზოს **კლიენტს საკრედიტო პროდუქტით** მომსახურება, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მუხლით.
4.5.2. სხვა **შემადგენელი ხელშეკრულებით** სარგებლობისას აღნიშნული ხელშეკრულებებით დადგენილმა ფულადმა ვალდებულებებმა და მოქმედების ვადებმა არ უნდა გადააჭარბოს **გენერალური საკრედიტო ხაზით** დადგენილ ლიმიტებს (მოქმედების ვადას, ერთიან საკრედიტო ლიმიტს და ა.შ. ასეთი ლიმიტების არსებობის შემთხვევაში).

## 5. ხელშეკრულების პირობების ცვლილების წესი

5.1. ***თუ კლიენტი იურიდიული პირია ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი***
5.1.1. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, **ხელშეკრულებაში** ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხით **მხარეთა** შეთანხმების საფუძველზე. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
5.1.2. **საკრედიტო პროდუქტის** ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილება ხორციელდება იმ ინდექსის ცვლილებისას, რომელ საჯარო ინდექსზეც არის მიბმული ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთი, კლიენტის** დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, **ხელშეკრულებით** (მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულებით)** გათვალისწინებული წესით.
5.1.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები თუ ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ.
5.1.4. **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ბანკისაგან** ახალი კორექტირებული **გრაფიკი**.

5.2. ***თუ კლიენტი ფიზიკური პირია***
5.2.1. **ბანკი**, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, უფლებამოსილია, **კლიენტისთვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად გაზარდოს ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთი** ან/და შეცვალოს **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობა.
5.2.2. ინდექსირებული **საკრედიტო პროდუქტის** შემთხვევაში:
5.2.2.1. ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილება **ბანკის** მიერ განხორციელდება იმ ინდექსის ცვლილებისას, რომელ საჯარო ინდექსზეც არის მიბმული ცვლადი **საპროცენტო სარგებელი**.
5.2.2.2. **ბანკი** უფლებამოსილია ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთი** შეცვალოს, გადაიყვანოს ფიქსირებულ **საპროცენტო განაკვეთში** და ავტომატურად გაზარდოს ინდექსირებული **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ოდენობამდე, თუ ადგილი ექნება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და ინდექსირებული **საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობას ან/და აჯეროვან შესრულებას.
5.2.3. **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 5.2.2 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილება არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით აქცეპტს ან/და მისთვის (**კლიენტისთვის**) წინასწარი შეტყობინების გაგზავნას. აღნიშნულ შემთხვევაში, შეცვლილი გადასახდელი დაირიცხება ცვლილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და დაექვემდებარება გადახდას **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
5.2.4. ინდექსირებული **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების განმავლობაში **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს რეფინანსირების** მოთხოვნით, რის შედეგადაც ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთი** (თუ ის **კლიენტის** მომართვის მომენტისათვის მოქმედებს) ჩანაცვლდება ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთით.** აღნიშნული საფუძვლით **რეფინანსირების** შემთხვევაში ახალი ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთის** მოცულობა განისაზღვრება **კლიენტის** განაცხადის მიღების მომენტში **ბანკში** არსებული საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად.
5.2.5. **ბანკის** მხრიდან, **ხელშეკრულების** პირობების, მათ შორის და არამარტო **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** ან/და **საპროცენტო განაკვეთის, კლიენტის** სასარგებლოდ ცვლილება ან/და ისეთი ცვლილება რაც არ აუარესებს და არ ცვლის **კლიენტის** უფლებრივ ან/და ფინანსურ მდგომარეობას, არ საჭიროებს **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნას.
5.2.6. **ბანკის** მიერ, **ხელშეკრულების** პირობების (გარდა ინდექსირებული **საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთისა**), მათ შორის და არამარტო **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** ან/და **საპროცენტო განაკვეთის კლიენტის** საუარესოდ შეცვლისას, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკისათვის** წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე არ დაეთანხმოს **ბანკის** გადაწყვეტილებას, რა შემთხვევაშიც **ხელშეკრულება** ჩაითვლება სრულად შეწყვეტილად და **კლიენტი** ვალდებული იქნება **ბანკისათვის** შეცვლილი პირობების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** ვადაში სრულად შეასრულოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებები (მათ შორის და არამარტო დაფაროს **კრედიტი** ან/და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები**, **პირგასამტეხლო**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები ან/და სხვა ხარჯები).
5.2.7. **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ბანკისაგან** ახალი კორექტირებული **გრაფიკი**.
5.2.8. **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების დღისთვის არსებული ეროვნული ვალუტის საბაზრო გაცვლითი კურსის აშშ დოლართან მიმართებაში 3.00% (სამი პროცენტის) ოდენობით ცვლილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია გაცემული **კრედიტის თანხა** გადაიტანოს სხვა ვალუტაში. ამასთან, **კრედიტის თანხის** კონვერტაცია სხვა ვალუტაში განხორციელდება **კრედიტის თანხის** გაცემის მომენტისთვის არსებული გაცვლითი კურსით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა კალენდარული დღის გაცვლითი კურსით.
5.2.9. თუ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მხარეა** რამდენიმე **კლიენტი**, რომელთა შორის არის იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, ასეთ შემთხვევაში **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით იმოქმედებს **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 5.1 პუნქტით განსაზღვრული დებულებები.

5.3. ***<u>საჯარო ინდექსის ცვლილება/გაუქმება.</u>*** **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება რეფინანსირების განაკვეთი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, LIBOR განაკვეთი ან/და სხვა) გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, **ბანკი** განსაზღვრავს საჯარო ინდექსს, რომლის შესაბამისადაც მოხდება **საპროცენტო სარგებლის** ფორმირება, რის თაობაზეც შეატყობინებს **კლიენტს** **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან/და შეჩერების შემთხვევაში: (ა) **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებელი**, არსებული საჯარო ინდექსით იქნება ფორმირებული იმ მომენტამდე, რა მომენტშიც **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად უნდა მომხდარიყო არსებული საჯარო ინდექსის განახლება; (ბ) **ბანკის** მიერ ახალი საჯარო ინდექსის გათვალისწინებით განისაზღვრება/შეიცვლება **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის დადგენილი საჯარო ინდექსის დანამატი საპროცენტო კოეფიციენტი. ამასთან, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის ოფიციალურად გამოქვეყნების შეჩერების შემდგომ მისი ოფიციალურად გამოქვეყნების განახლების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **საპროცენტო სარგებლის** ფორმირების მიზნით, აღადგინოს არსებული საჯარო ინდექსი ან განაგრძოს **საპროცენტო სარგებლის** ფორმირება შესაბამისი საჯარო ინდექსით.

## 6. მონიტორინგი და ანგარიშგება

6.1. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, **კლიენტი** ვალდებულია:

6.1.1. წარუდგინოს **ბანკს** კვარტალური ანგარიშგება, შესაბამისი კვარტლის დასრულებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო წლიური ანგარიშგება შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.1.2. საბუღალტრო აღრიცხვა აწარმოოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრული დაცვით;

6.1.3. მიაწოდოს **ბანკს** ინფორმაცია **კლიენტთან** დაკავშირებული ნებისმიერი ისეთი ხდომილების, გარემოების ან/და ფაქტის (მათ შორის სასამართლო/საარბიტრაჟო დავების, საგამოძიებო პროცედურების, მარეგულირებელი ორგანოს მიერ განხორციელებული შემოწმებების და ა.შ.) შესახებ, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს **კლიენტის** საქმიანობაზე, ფინანსებზე, აქტივებზე ან/და ხელი შეუშალოს **კლიენტს** **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებაში, ასეთი ხდომილების, ფაქტის ან/და გარემოების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

6.1.4. **ბანკის** მხრიდან გონივრული პერიოდით ადრე გაგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე, დროის განსაზღვრულ პერიოდში, დაუბრკოლებლად დაუშვას **ბანკი** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული **მესამე პირი, კლიენტის** შენობაში/ოფისში/საწარმოში და მისცეს წვდომა **კლიენტის** საფინანსო დოკუმენტებზე, საბუღალტრო ჩანაწერებზე, **კლიენტის** საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესაბამისი განმარტებები და დასკვნები.

6.1.5. წარუდგინოს **ბანკს** მის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ფორმით და შინაარსით.

## 7. ვალდებულებების უზრუნველყოფა და დაზღვევა

7.1. **უზრუნველყოფის საშულებებით** უზრუნველყოფილია **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ყველა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება თუ რომელიმე **დაკავშირებული ხელშეკრულებით** სპეციალურიად სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მხოლოდ რომელიმე ან რამდენიმე ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

7.2. **უზრუნველყოფის საშუალების** ყველა საგანი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ **უზრუნველყოფის საშუალების** საგნებზე არ უნდა ვრცელდებოდეს სხვა ვალდებულებები, იპოთეკა, გირავნობა, ყადაღა, შეზღუდვა აკრძალვა, **მესამე პირის** მოთხოვნები, სხვა უფლებრივი ტვირთი, გარდა **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ით** პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

7.3. თუ **უზრუნველყოფის საშუალებას** წარმოადგენს **დეპოზიტი:** (ა) **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების მანძილზე უარს ამბობს მის უფლებაზე ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს/მოშალოს **დეპოზიტის** ხელშეკრულება(ები) ან/და სრულად ან ნაწილობრივ მოითხოვოს **დეპოზიტის** თანხა. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე პირობას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა **ბანკსა** და **კლიენტს** შორის შეთანხმებულ სხვა სახელშეკრულებო (მათ შორის დეპოზიტის) პირობებთან მიმართებაში; (ბ) და **დეპოზიტის** ხელშეკრულების მოქმედების ვადა ნაკლებია ამ **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაზე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **დეპოზიტის** ხელშეკრულების ვადის გასვლის ყოველ ჯერზე მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება **დეპოზიტის** ხელშეკრულებით განსაზღვრული საწყისი ვადით და იმავე პირობებით.

7.4. **კლიენტის** მიერ **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** (მათ შორის **კრედიტის თანხის**) ვალდებულების დროულად შესრულების მიზნით (გადახდის ვადის დადგომიდან ნებისმიერი დროს) ან ასეთი გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **დეპოზიტის** თანხა პირდაპირ მიმართოს **კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის **დეპოზიტის** დარღვევის/გამოსყიდვის ან/და შემცირების საშუალებით.

7.5. თუ **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის ღირებულება შემცირდება ან/და წარმოიქმნება მისი შემცირების საშიშროება იმ გარემოებათა გამო, რომლებზეც პასუხისმგებელი არ არის **ბანკი**, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისაგან** მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში **ხელშეკრულებაში** მოცემული პირობების შესაბამისად, **ბანკს** დასატვირთად გადასცეს დამატებითი **უზრუნველყოფის საშუალების** საგანი ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის რომელიმე სხვა, **ბანკისათვის** მისაღები საშუალება.

7.6. **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ: (ა) **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნას; (ბ) **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის მიმართ **მესამე პირმა** შეიტანა/შეიტანეს სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს **უზრუნველყოფის საშუალების** საგანზე (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას ან შეზღუდვას, ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გონივრულ ვადაში დააკმაყოფილოს **ბანკის** მოთხოვნა **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის შეცვლის შესახებ.

7.7. თუ **უზრუნველყოფის საშუალების** წარმოადგენს ფინანსური გირავნობის (გირაოს) საფუძველზე დაგირავებული ქონება, მათ შორის კრედიტორული მოთხოვნები და აღნიშნული ქონება ან/და ასეთი კრედიტორული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონება ან მისი ნაწილი ნებისმიერ საფუძვლით (მათ შორის რომელიმე ადმინისტრაციული აქტის გამო) **ბანკისთვის** ხელმიუწვდომელი გახდება, **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვოს **კლიენტს**, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს მოთხოვნა, ასეთი ხელმიუწვდომელი ქონების ღირებულების (ქონების ღირებულება განისაზღვრება **ბანკის** მიერ) ოდენობით შეამციროს/დაფაროს **შემადგენელი ხელშეკრულების** ფარგლებში გაცემული საკრედიტო პროდუქტ(ებ)იდან გამომდინარე **კლიენტის** ფულადი ვალდებულებები.

7.8. თუ იპოთეკა წარმოადგენს **უზრუნველყოფის საშუალებას**, ხოლო **ბანკი** უარს იტყვის იპოთეკაზე, მაგრამ არა ამ იპოთეკით უზრუნველყოფილ ვალდებულებებზე, **კლიენტი** არ გათავისუფლდება იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისგან, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა **კლიენტს** თავის მხრივ იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება.

7.9. ***<u>სალომბარდო საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული დებულებები</u>***

7.9.1. თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის ან გადახდევინების მიქცევის ეტაპისათვის ვერ ხდება **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მოძიება (გარდა იმ შემთხვევისა თუ **უზრუნველყოფის საშუალების** საგანი გადაცემულია **ბანკისთვის** მფლობელობაში), მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა ნებისმიერი ადმ. ორგანის მიერ, ქონების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა ა.შ.), **კლიენტის** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) **კლიენტისგან** სხვა შესაბამისი ღირებულების მქონე **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის გზით.

7.9.2. **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის/**კლიენტის** მიერ განადგურებულად/ გადამალულად ჩაითვლება მათ შორის შემდეგ შემთხვევებშიც, კერძოდ **უზრუნველყოფის საშუალების** საგანი:

7.9.2.1. განადგურებულად ჩაითვლება თუ **დაკავშირებული ხელშეკრულების** დადების მომენტისთვის **ბანკის** მიერ **უზრუნველყოფის საშუალების** საგნისთვის შეფასების აქტით განსაზღვრული ღირებულება შემცირდება 30%-ით და მეტით, იმის მიუხედავად ასეთი შემცირება გამოწვეული იქნება თუ არა **კლიენტის/უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის მიერ.

7.9.2.2. გადამალულად ჩაითვლება თუ **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ან/და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრისთვის შეტყობინების მიწოდებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში **კლიენტი** არ წარუდგენს **ბანკს უზრუნველყოფის საშუალების** საგანს.

7.9.2.3. **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვოს **კლიენტს** ან/და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრეს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის შეცვლა ან/და დააკისროს **კლიენტს** ან/და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრეს ზიანის ანაზღაურება **ბანკისთვის** მიყენებული ზიანის სრული ოდენობით (ხოლო **მოვალე** ან/და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრე ვალდებული იქნება გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვის ვადაში დააკმაყოფილოს **ბანკის** მოთხოვნა) იმ შემთხვევაში, თუ დადგება როემელიმე შემდეგი გარემოება: (ა) **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება **უზრუნველყოფილ მოთხოვნის** სრულად და ჯეროვნად შესრულებას; (ბ) **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის მიმართ **მესამე პირმა** შეიტანა/შეიტანეს სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს **უზრუნველყოფის საშუალების საგანზე** (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას ან შეზღუდვას; (დ) თუ აღმოჩნდება, რომ **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის დამგირავებელი არ წარმოადგენს მართლზომიერ მესაკუთრეს; (ე) **უზრუნველყოფის საშუალების** საგანი აღმოჩნდება ყალბი.

7.10. ***<u>ქონების შეფასება.</u>*** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **ბანკის** თანამშრომელმა ან **ბანკის** მიერ განსაზღვრულმა პირმა განახორციელოს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის შეფასება, დასურათება და შესაბამისი აქტის შედგენა.

7.11. ***<u>დაზღვევა.</u>*** თუ **კომერციული პირობებით, შემადგენელი ხელშეკრულებით** ან/და **დანართით მხარეთა** შორის შეთანხმებულია, რომ **კლიენტმა** უნდა განახორციელოს დაზღვევა:

7.11.1. **ბანკის** მოთხოვნისას **კლიენტი** ვალდებულია დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის **კლიენტის** სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაზღვევა, **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის დაზღვევა, **კლიენტის** სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, **კლიენტის** მიერ სამსახურის დაკარგვის დაზღვევა და სხვა) **ბანკის** სასარგებლოდ, რა შემთხვევაშიც დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს **ბანკი** ან/და **ბანკის** მიერ დასახელებული **პირი.**

7.11.2. თუკი სხვაგვარად არ იქნა მოთხოვნილი **ბანკის** მიერ დაზღვევა (ფრანშიზას გამოკლებით) სრულად უნდა ფარავდეს **ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ დასახელებული **პირის** მოთხოვნებს და დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის** მოქმედების ვადაზე ნაკლები.

7.11.3. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას:

7.11.3.1. დაზღვევა განახორციელოს **ბანკისათვის** მისაღებ, მაღალი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიაში;

7.11.3.2. დაზღვევის მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი წარუდგინოს **ბანკს**;

7.11.3.3. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წარუდგინოს **ბანკს** დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვად(ებ)ით;

7.11.3.4. დაიცვას დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.

7.11.4. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა კლიენტის** მიერ დაზღვევისათვის გადასახდელი პრემიის თანხები დააკავოს **კრედიტის** (**ოვერდრაფტის**) **თანხიდან** და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **კლიენტნის** მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე ოვერდრაფტის** დაშვების ხარჯზე.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში, **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტზე** არ გასცეს **კრედიტის თანხა**, შეაჩეროს **ოვერდრაფტის, საკრედიტო ხაზის** ან/და სხვა **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედება და არ განახორციელოს **დოკუმენტური ოპერაციები**.

8.2. თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს (მათ შორის დააგვიანებს ან არ გადაიხდის **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადებში **კრედიტის თანხას** ან/და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ გადასახდელებს**), **ბანკი** უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო**.

8.3. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულების** შეუწყვეტლად, ან **ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს **კლიენტს** ფინანსური ვალდებულებების ვადამდე შესრულება (მათ შორის, **კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის** ან/და სხვა მსგავსი დავალიანების თანხის, მათზე დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** (მათ შორის, როგორც მიუღებელი სარგებლის), **საკომისიოსა** და **პირგასამტეხლოს,** აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) და გამოიყენოს **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 9.5 პუნქტით განსაზღვრული უფლებები.

8.4. **მხარეთა** შეთანხმებით **კრედიტის თანხა** შეიძლება დაიფაროს ან/და **საკრედიტო პროდუქტი** ჩანაცვლდეს **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**) გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლების **პირგასამტეხლო**.

8.5. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვამდე ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლებამდე მოსთხოვოს **კლიენტს,** ხოლო ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და არაუგვიანეს **კრედიტის** დაფარვის ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლების თარიღამდე, **ბანკისთვის** მისაღები ფორმით, წარუდგინოს **ბანკს** ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან/და ირიბად იძლევა **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის წყაროს ან/და **საკრედიტო პროდუქტი** ჩანაცვლების დადგენის შესაძლებლობას. წინამდებარე პუნქტით დადგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობს ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვა ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლება, **ბანკის** მიერ განიხილება, როგორც **კრედიტის** ან/და **საკრედიტო პროდუქტის** სხვა ფინანსური ინსტიტუტ(ებ)ის, კომერციული ბანკ(ებ)ის, საბროკერო კომპანი(ებ)ის, საინვესტიციო ფონდ(ებ)ის საშუალებით ან/და მათი ფულადი სახსრების გამოყენებით რეფინანსირებად/ჩანაცვლებად, რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის** ვადამდე ადრე დაფარვის ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლების **პირგასამტეხლო**. ამასთან, **ბანკი** თვისი შეხედულებით წყვეტს მისთვის **კლიენტის** მიერ წარდგენილი ან/და **ბანკის** მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძვლზე რამდენად ჰქონდა **კრედიტის** რეფინანსირებას ან/და **საკრედიტო პროდუქტის** ჩანაცვლებას ადგილი. ბანკის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება უზღუდავს **კლიენტ**ს უფლებას სათანადო წესით გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება.

8.6. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე **პირგასამტეხლოს** გადახდა არ ათავისუფლებს მას (**კლიენტს**) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით. **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 3.3.9 პუნქტით

განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტს** დარღვეული ვადის პერიოდზე დაერიცხება შესაბამისი **საპროცენტო სარგებლის** (როგორც მიყენებული ზიანის/ზარალის) დამატებითი მოცულობა.

8.8. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

8.8.1. განახორციელოს **კლიენტის** ნებისმიერ **ანგარიშზე**, რაც ყველანაირი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **მომსახურე ანგარიშს,** არსებული ნაშთების/თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;

8.8.2. **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების (ფულადი ვალდებულების ვადის დადგომიდან ნებისმიერ დროს) დასაფარად/შესამცირებლად;

8.8.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**;

8.8.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში, მათ შორის როგორც ვადამოსულ ისე ვადამოუსვლელ ვალდებულებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.9. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან/და სხვა უფლებამოსილი **პირის** მიერ **კლიენტის ანგარიშებზე**, და მათ შორის **მომსახურე ანგარიშზე** დაწესებულ შეზღუდვებზე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ინკასო, ყადაღა და სხვა), რის შედეგადაც **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს **ხელშეკრულებით**, **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული **ბანკის** უფლებების შეზღუდვის ან/და **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით, დაკავშირებული ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8.10. **კლიენტი** ვალდებულია არ ჩაერთოს **კანონმდებლობით** აკრძალულ საქმიანობაში, ასევე არ დაუშვას **კანონმდებლობით** აკრძალულ საქმიანობაში მისი მმართველების, დირექტორების, თანამშრომლების, პარტნიორების, აგენტების ან/და წარმომადგენლების ჩართვა.

8.11. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** ან/და **კლიენტის წარმომადგენლის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

## 9. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

9.1. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის (**მხარეთა** ხელმოწერის ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშულებით **მხარეთა** მიერ თანხმობის გაცხადების) დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9.2. **მხარეთა** ნება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** დადებაზე გამოვლენილად ჩაითვლება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაზე:** (ა) ხელმოწერით ან (ბ) თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშუალებით, როგორიცაა მაგალითისთვის ინტერნეტ ბანკინგი, მობაილ ბანკინგი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) მიღებით/გაგზავნით და სხვა). ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.

9.3. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

9.3.1. ვადამდე, **ბანკის** მიერ, თუ:

9.3.1.1. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულია **კლიენტის** მიერ ვალდებულებების შესრულება (**საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების**, მათ შორის **კრედიტის თანხის** დაფარვა) ნაწილ-ნაწილ/ეტაპობრივად და **კლიენტი,** ნებისმიერ ეტაპზე, სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** მათ შორის **კრედიტის თანხის** გადახდის ვალდებულებას ზედიზედ ორჯერ და აღნიშნული (ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებლობა) არ იქნება გამოსწორებული **ბანკის** მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში; ან/და

9.3.1.2. **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კომერციული პირობებით**) ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**, **მიზნობრიობას**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას. ამასთან ეს პირობა არ გულისხმობს **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 9.3.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს);

9.3.1.3. **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს სხვა გარიგებ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერ ფულად ვალდებულებას რომელიმე კრედიტორის (მათ შორის **ბანკის)** წინაშე, თუ ასეთი ფულადი ვალდებულების ვადაგადაცილების დღისთვის კრედიტორ(ებ)ის ვადამოსული მოთხოვნა აღემატება **კლიენტის** მიმართ არსებულ მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 30%-ს და ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;

9.3.1.4. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება ან/და **ბანკი** დაადგენს, რომ არსებული საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **კლიენტის, დაკავშირებული ხელშეკრულების მხარის** (გარდა **ბანკისა**), მათ შორის **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის ან/და თავდების, გარანტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდისუნარიანობას;

9.3.1.5. **ხელშეკრულების** შეწყვეტისთვის **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით**, **კომერციული პირობებით** ან/და **შემადგენელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში.

9.3.1.6. **შემადგენელი ხელშეკრულების** მოქმედების ვადის ამოწურვისას **კლიენტს ბანკის** წინაშე არ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება, მათ შორის **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** დავალიანება;

9.3.1.7. **ხელშეკრულების** ნებისმიერი დებულების, მათ შორის **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 9.3.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული დათქმის შეუზღუდავად, **ხელშეკრულების** ვადამდე **ბანკის** მიერ შეწყვეტის დამატებით საფუძვლებს წარმოადგენს, თუ:

9.3.1.7.1. **კლიენტი** იკისრებს დამატებით ვალდებულებ(ებ)ს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

9.3.1.7.2. ადგილი ექნება ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყებას ან დადგომას, რითაც საფრთხე შეექმნება: (ა) **კლიენტის** ან/და უზრუნველყოფის მიმწოდებლის (მათ შორს **თავდების, იპოთეკის საგნის მესაკუთრის** ან/და **დამგირავებლის**) აქტივებს/ქონებას ან/და მის საქმიანობას, ან/და (ბ) **კლიენტის** ან/და უზრუნველყოფის მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

9.3.1.7.3. **კლიენტის** მიერ არ ხდება საბანკო პროდუქტებით სარგებლობა 1 (ერთი) კალენდარული წლის, ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ყოველგვარი დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, ნებისმიერ დროს გააუქმოს რევოლვირებადი **საკრედიტო პროდუქტების** (მათ შორის და არა მხოლოდ ოვედრაფტი, საკრედიტო ხაზი, საკრედიტო ბარათი) ლიმიტი.

9.3.1.7.4. ადგილი ექნება **კლიენტის** აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის დაყადაღებას/ნებისმიერი შეზღუდვის/აკრძალვის ან/და უფლებრივი ტვირთის გავრცელებას ან/და **კლიენტი** განკარგავს ქონებას/აქტივებს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

9.3.1.7.5. **კლიენტის** ან/და **თავდების** აქციონერის, პარტნიორის თუ სხვა სახის დამფუძნებლის (მათ შორის, ბენეფიციარი მფლობელის) მიერ აქციის, წილის ან **კლიენტის/თავდების** კაპიტალში/ქონებაში სხვა სახის მიმოქცევადი უფლების განკარგვა (გასხვისება, დატვირთვა და ა.შ.) მოხდება **ბანკთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

9.3.1.7.6. ნებისმიერმა სხვა კრედიტორმა **კლიენტს** მიმართა მასთან გაფორმებული გარიგების ვადამდე შეწყვეტით ან/და მოსთხოვა ვალდებულების (მათ შორის ფინანსური) ვადამდე შესრულება, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

9.3.1.7.7. მნიშვნელოვნად შემცირდება **კლიენტის** კაპიტალი;

9.3.1.7.8. **კლიენტი ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე: ა) შეცვლის ძირითადი საქმიანობის სფეროს ან/და დაიწყებს ახალ საქმიანობას; ან/და ბ) განახორციელებს რეორგანიზაციას ან ლიკვიდაციას ან/და ნებისმიერ სტრუქტურულ ცვლილებას.

9.3.1.7.9. **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე შემცირდება **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არსებული **კლიენტის** გაცხადებული კაპიტალი.

9.3.1.7.10. **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **კლიენტი** დაუშვებს დამატებითი აქციების გამოშვებას ან/და **კლიენტის** კაპიტალში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილებას ან/და **კლიენტის** აქციების/წილის გასხვისებას/განკარგვას/ნებისმიერი უფლებით/ვალდებულებით დატვირთვას.
9.3.1.7.11. **კლიენტის** მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და **ბანკისთვის** მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);
9.3.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
9.3.3. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზნებისათვის, **ხელშეკრულების** სრულად შეწყვეტა გულისხმობს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** შეწყვეტას, რაც ავტომატურად იწვევს მის საფუძველზე დადებული ყველა **შემადგენელი ხელშეკრულების** სრულ შეწყვეტას, ხოლო ნაწილობრივი შეწყვეტა გულისხმობს **შემადგენელი ხელშეკრულებიდან** ერთის ან რამდენიმეს შეწყვეტას, რაც არ იწვევს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** შეწყვეტას.
9.5. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:
9.5.1. **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
9.5.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სრულად დაფაროს **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დავალიანება, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის თანხა** ან/და **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები** ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები, **ბანკის** მიერ გაწეული სასამართლო/საარბიტრაჟო, აღსრულების ან/და სხვა ხარჯები;
9.5.3. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ: (ა) დაიწყოს გადახდევინების მიქცევა **კლიენტის** ნებისმიერ ქონებაზე, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ან/და (ბ) დაიწყოს გადახდევინების მიქცევა **უზრუნველყოფის საშუალების** საგან(ებ)ზე (ასეთის არსებობისას) ან/და (გ) მიიღოს საკუთრებაში **უზრუნევლყოფის საშუალების** საგანი/საგნები ან/და (დ) გადახდევინება მიაქციოს **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პირ(ებ)ის (თავდების, გარანტორის და ა.შ) ქონებაზე; ან/და (ე) მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) მათ შორის ისეთი მოთხოვნების, რომელთა შესრულების ვადა გაქვითვის მომენტისთვის არ არის დამდგარი. თუ შესაბამის მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ერთზე მეტი მოთხოვნა, ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად გამოიყენება ყოველი მათგანი, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნათა გაქვითვის აუცილებლობას ან/და რიგითობას **ბანკი** განსაზღვრავს ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ. თუ გასაქვითი მოთხოვნები სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნათა გაქვითვა განახორციელოს გაქვითვის მომენტისთვის **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ან/და
9.5.4. **ბანკი** თავისუფლდება **კლიენტის** წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან;
9.6. ***<u>მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა.</u>*** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი **პირის** მიმართ. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება არ უნდა ჩაითვალოს **ბანკის** მხრიდან **უზრუნველყოფის საშუალების** საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაზე** უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა **უზრუნველყოფის საშუალების** საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **პირ(ებ)ის** ქონებაზე.
9.7. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** უფლებამოსილებაზე, გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.
9.8. იმ შემთხვევაში, თუ **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების** გადახდისათვის), **კლიენტი** დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე). იგივე წესი ვრცელდება: (ა) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის რეალიზაციის შემთხვევაში, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის სყიდვის ფასი იქნება **ბანკის** მოთხოვნაზე ნაკლები, **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით **ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ **ბანკის** მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფილ კრედიტორად; და (ბ) იმ ხარჯებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას **ბანკის** მიერ **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის რეალიზაციის პროცესში;
9.9. მიუხედავად **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების 9.8**. პუნქტით გათვალისწინებულისა, **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ამ **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის** მიმართ **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და საკუთრებაში მიღების გზით) განხორციელებით. წინამდებარე პუნქტში მოცემული პირობა არ მოქმედებს თუ არსებობს რომელიმე შემდეგი გარემოება: (ა) **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტთან** მიმართებაში **კანონმდებლობით** ნებადართულია (არ არის შეზღუდული) **მხარეთა** მიერ აღნიშნული პირობისგან განსხვავებულ წესსზე შეთანხმება (ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების 9.8.** პუნქტით გათვალისწინებული წესი); (ბ) მოხდება **სალომბარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალების** საგნის რაიმე ფორმით დაზიანება, განადგურება, გადამალვა. გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა (**ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები) არ ვრცელდება **გენერალური საკრედიტო ხაზის** ფარგლებში გაცემულ სხვა **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ზე**, თუ ასეთი **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი** გაცემულია გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე.
9.10. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
9.11. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით**.

## 10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

10.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.
10.2. **ხელშეკრულებიდან** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.
10.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, თუ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით** სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით.

## 11. ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი

11.1. თუ შესაბამისი **ხელშეკრულების** პირობების გათვალისწინებით, **კლიენტზე** ვრცელდება **კანონმდებლობით** დადგენილი რეგულაცია მომხმარებელთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების შესახებ, **კლიენტი** უფლებამოსილია გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან/და ელ-ფოსტა [ConsumerProtection@lb.ge](mailto:ConsumerProtection@lb.ge) საშუალებით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

11.2. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთ) თვეს.
11.3. **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

## 12. კომუნიკაცია

12.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიზური კავშირგაბმულობის (მოკლე ტექსტური შეტყობინებების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
12.1.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
12.1.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არარსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან ან ჩაბარებაზე უარის თქმიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
12.1.3. თუ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მისამართზე ვერ ბარდება ადრესატს, **ბანკის** მიერ განხორციელებული ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად **ბანკის** მიერ შეტყობინების განმეორებით გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
12.1.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს, ხოლო ასეთი დასტურის არარსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
12.1.5. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
12.1. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს**, ხოლო საკორესპოდენტო მისამართზე მყოფი პირი უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან/და შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
12.2. თუ **ხელშეკრულებაში** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.
12.3. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.
12.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.
12.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.
12.6. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.
12.7. ***საკონტაქტო პირთან კომუნიკაცია.*** **კლიენტი** ინფორმირებულია და ადასტურებს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია:
12.7.1. **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებულ დოკუმენტაციაში (მათ შორის განაცხადში) მოცემული საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაციის სისწორის შემოწმების მიზნით, დაუკავშირდეს ასეთ დოკუმენტაციაში მითითებულ საკონტაქტო პირ(ებ)ს;
12.7.2. დაუკავშირდეს **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებულ დოკუმენტაციაში **კლიენტის** მიერ დაფიქსირებულ საკონტაქტო პირ(ებ)ს **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოძიების, მათ შორის და არამხოლოდ **კლიენტთან** (ან/და მის უფლებამოსილ პირ(ებ)თან) დაკავშირებისა ან/და **კლიენტის**/მისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის ადგილსამყოფლის მოძიების მიზნით;
12.7.3. საკონტაქტო პირ(ებ)ს მიაწოდოს დაკავშირების მიზნის და საფუძვლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის გაანდოს მას ინფორმაცია ვალდებულების სტატუსზე (მაგალითად, სესხი მიმდინარეა ან/და ვადაგადაცილებულია);
12.7.4. **ბანკმა** მის ხელთ არსებული ან/და სხვა საშუალებით მოიძიოს **კლიენტთან** დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ი და დაუკავშირდეს მას/მათ **კლიენტის** ადგილმდებარეობის დადგენის ან/და **კლიენტთან** დაკავშირების მიზნით;
12.7.5. კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტის** მიერ **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებულ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული საკონტაქტო პირ(ებ)ის ან/და **ბანკის** მიერ მოძიებული მომხმარებელთან დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის მიერ მოწოდებულ **კლიენტის** (ან/და მისი უფლებამოსილი პირის) საკონტაქტო მონაცემ(ებ)ზე.

## 13. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

13.1. ***თუ კლიენტი ფიზიკური პირია***

13.1.1. ***მონაცემების დამუშავება***. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 13.1.10. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, დამუშავება.
13.1.2. **ბანკის** მიერ **მონაცემთა დამუშავება,** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების **კლიენტისგან,** საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან/და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების #1 დანართში** ჩამოთვლილი **მესამე პირებისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და

გამჟღავნებას წინამდებარე პირობებში მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

13.1.3. **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბანკის შეკვეთით უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავებით:

(i) სახელი და გვარი;
(ii) დაბადების თარიღი და ადგილი;
(iii) პირადი ნომერი ან/და ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება:
(iv) მოქალაქეობა;
(v) სქესი;
(vi) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
(vii) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
(viii) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
(ix) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(x) **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
(xi) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
(xii) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
(xiii) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;
(xiv) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);
(xv) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და **კლიენტის** ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);
(xvi) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;
(xvii) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

13.1.4. თუ **კლიენტი,** მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის **მესამე პირების** (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტის** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **ბანკს კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

13.1.5. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, LB PAY აპარატები, ბანკომატები ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და **მესამე პირთა** საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

13.1.6. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (LB Pay აპარატის) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (კლიენტის) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების არასრული ინფორმაციის ჩვენებით.

13.1.7. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (LB Pay აპარატის)/ბანკომატ(ებ)ის ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) სწრაფი გადახდის ტერმინალში (LB Pay აპარატში)/ბანკომატში შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

13.1.8. ***მონაცემთა დამუშავების საფუძველი.*** **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) **დამუშავება** აუცილებელია:

13.1.8.1. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;
13.1.8.2. **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;
13.1.8.3. **ბანკის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
13.1.8.4. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;
13.1.8.5. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

13.1.9. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული კლიენტის განაცხადი, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებს** და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან **ხელშეკრულებას.**

13.1.10. ***მონაცემების დამუშავების მიზანი.*** **ბანკის** ან/და წინამდებარე **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების **დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

13.1.10.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;
13.1.10.2. **კლიენტის** სათანადო წესით იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისთვის;

13.1.10.3. **კლიენტის** გადახდისუნარიანობის გადამოწმებისთვის;
13.1.10.4. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ;
13.1.10.5. eMoney ელექტრონული საფულით სარგებლობისთვის, რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს **კლიენტს** ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია;
13.1.10.6. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, **კლიენტის** დაფინანსებაში მონაწილეობისთვის პოტენციური კრედიტორისთვის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;
13.1.10.7. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
13.1.10.8. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
13.1.10.9. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;
13.1.10.10.არსებული **საკრედიტო პროდუქტების** ფარგლებში, **საკრედიტო პროდუქტის** თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და **საკრედიტო პროდუქტის** სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;
13.1.10.11.ახალი ან/და დამატებითი **საკრედიტო პროდუქტების** ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წარმოადგენს;
13.1.10.12.მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც **ბანკის**, ასევე წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირების** მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;
13.1.10.13.**ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნების **მესამე პირისათვის** დათმობისას ან/და სხვა **პირ(ებ)თან** ერთად **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის** ერთობლივი დაიფინანსებისას, ან/და მოთხოვნის დათმობის/ერთობლივი დაფინანსების მომზადების ეტაპზე **ხელშეკრულება** და **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ გადასცეს შესაბამის დაინტერესებულ **მესამე პირს**;
13.1.10.14.სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;
13.1.11. ***<u>ინფორმაციის წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა/მესამე პირისაგან ინფორმაციის გამოთხოვა</u>.*** იმისათვის, რომ **ბანკმა** სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, მონაცემთა დამუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა.
13.1.12. საბანკო მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:
13.1.12.1. **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები;
13.1.12.2. გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და **ბიუროში** არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ. ამასთან **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ასევე **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;
13.1.12.3. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **ხელშეკრულებისა** და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით**.
13.1.12.4. **ბანკმა** კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).
13.1.13. ***<u>პირდაპირი მარკეტინგი</u>.*** **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ **ბანკი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.
13.1.14. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ (ან/და უფლებამოსილ) პირ(ებ)ს. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ (ან/და **ბანკის** უფლებამოსილ) პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.
13.1.15. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ **ბანკი** და სხვა).
13.1.16. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით (მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.
13.1.17. ***<u>ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.</u>*** უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ბანკომატის ან სხვა ელექტრონული მოწყობილიბობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს **ბანკთან** სატელეფონო კომუნიკაციისას.

13.1.18. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე **ბანკთან** კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი,** აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

13.1.19. ***საავტორო უფლებები*. კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

13.1.20. *მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა.* თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირს** არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.1.21. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა მესამე პირებისთვის, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და კანონიერ ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

13.1.22. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და კანონიერ ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

13.1.23. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტის** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

13.1.24. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

13.1.25. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

13.1.26. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** მობილური ტელეფონის ან/და მისი (მობილური ტელეფონის) ნომრის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

13.2. *თუ კლიენტი იურიდიული პირია ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი*

13.2.1. თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

13.2.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

13.2.3. **კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ, **მესამე პირს** შესანახად და დასამუშავებლად გადასცეს ან/და **მესამე პირისაგან** მოიძიოს, მიიღოს და დაამუშავოს **კლიენტის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია** (i) **კლიენტის** მონიტორინგის, (ii) **კლიენტთან** დაკავშირებული ფინანსური/საინფორმაციო-ანალიტიკური მონაცემების შეგროვების და აღრიცხვის (iii) **კლიენტისათვის** მომსახურების გაწევის, შეთავაზების, პირდაპირი მარკეტინგის (სარეკლამო) ან/და (iv) **კანონმდებლობით** განსაზღვრული სხვა მიზნობრიობით, მათ შორის:

13.2.3.1. **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები;

13.2.3.2. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნების **მესამე პირისათვის** დათმობისას ან/და სხვა **პირ(ებ)თან** ერთად **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის** ერთობლივი დაიფინანსებისას, ან/და მოთხოვნის დათმობის/ერთობლივი დაფინანსების მომზადების ეტაპზე **ხელშეკრულება** და **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ გადასცეს დაინტერესებულ **მესამე პირს**;

13.2.3.3. საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების მიზნით **მესამე პირს** (სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები და სხვა) გადასცეს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაცია (მოახდინოს საჯარო შეტყობინება, პუბლიკაცია და სხვა), მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემები (ასეთი არსებობისას);

13.2.3.4. გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში (შემდგომში - **ბიურო**) არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ.

13.2.4. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

13.2.5. **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

13.2.6. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **ხელშეკრულებისა** და **საკრედიტო პროდუქტის** მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

13.2.7. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** დადებით **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშაოს თავდებების და **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრეების, **კლიენტის** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, მმართველობისა და ზედამხედველობის ორგანოების წევრების, პარტნიორებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების პერსონალური მონაცემები, მათი გადამხდელუნარიანობის შემოწმების მიზნით და ადასტურებს, რომ **ბანკისათვის** აღნიშნული უფლებამოსილებამოსილების გადაცემამდე ამ პუნქტში მითითებული პირებისაგან მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13.2.8. **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების** 13.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში **ბანკი** უფლებამოსილია ინფორმაციის დამუშავება განახორციელოს მრავალჯერადად, იმ ვადით და პირობებით, რაც აუცილებელია **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, თუ აღნიშნული არ ეწინააღდეგება **კანონმდებლობას**.

13.3. *ხელშეკრულების და დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება*

13.3.1. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** დადებით **კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს **ხელშეკრულების** ნებისმიერ **კლიენტს** (თუ რამდენიმე **კლიენტია**), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს: (ა) **ხელშეკრულება,** (ბ) **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) **გარემოებების** შესახებ ინფორმაცია, რაც **ბანკის** შეხედულებით შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველი, (გ) **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით).

## 14. კლიენტების სიმრავლე

14.1. თუ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება დადებულია** რამდენიმე **კლიენტის** მიერ, **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად გავრცელდება თითოეულ მათგანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **კლიენტის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ასეთ **კლიენტზე.**

14.2. **კლიენტები** წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს **ბანკის** წინაშე შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ. შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია:

14.2.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება მოსთხოვოს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე **კლიენტს**, ხოლო **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში მათ უფლებამონაცლეებს/სამართალმემკვიდრეებს;

14.2.2. ერთ-ერთ **კლიენტთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენოს სხვა **კლიენტების** მიმართაც;

14.3. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია **გენერალური საკრედიტო ხაზის** ფარგლებში ისარგებლოს შეთავაზებული **საკრედიტო პროდუქტებით** და დადოს **ბანკთან შემადგენელი ხელშეკრულება** როგორც ერთობლივად, ისე დამოუკიდებლად. შესაბამისად, თითოეული **კლიენტის** სოლიდარული პასუხისმგებლობა გავრცელდება როგორც **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** და მათ შორის ამგვარი **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრი, ისე **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებისათვის მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა **კლიენტის** ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის (მათ შორის კონკრეტული **შემადგენელი ხელშეკრულების)** ხელმომწერ / დამდებ მხარეს.

14.4. ერთ-ერთი **კლიენტის** ლიკვიდაცია (იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების შემთხვევაში), გარდაცვალება, ქმედუუნარობა ან/და შეზღუდული ქმედუნარიანობა არ ათავისუფლებს **კლიენტს/კლიენტებს ხელშეკრულებით,** ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისაგან (მათ შორის და არამარტო **კრედიტის თანხის** გადახდა, მიზნობრიობის შესრულება), ასევე არ ზღუდავს **ბანკის** და **კლიენტის** უფლებას **გენერალური საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში გააფორმონ **შემადგენელი ხელშეკრულება** და **კლიენტმა ბანკის** წინაშე იკისროს დამატებითი ვალდებულებები.

14.5. **ბანკის** მიერ ერთი ან რამდენიმე **კლიენტისთვის** ვალის პატიება არ ათავისუფლებს სხვა **კლიენტ(ებ)ს ხელშეკრულებით,** ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრულად შესრულებისაგან, ამავდროულად გულისხმობს, რომ **ბანკის** მოთხოვნას არ გამოაკლდება გამოთავისუფლებული **კლიენტ(ებ)ის** წილი.

14.6. ერთ-ერთი **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა დარღვევა განპირობებული იქნა თუ არა **კლიენტის** გარდაცვალების, ქმედუუნარობის ან/და შეზრუდული ქმედუნარიანობის შედეგად, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **კლიენტს** და მის მიმართ ისარგებლოს ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

14.7. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) რომელიმე **კლიენტის** მიმართ გამოუყენებლობა არ ვრცელდება სხვა **კლიენტზე** და არ ათავისუფლებს მათ ნაკისრი ვალდებულებებისგან.

14.8. თუ **შემადგენელი ხელშეკრულება** დადებულია ერთ ან რამდენიმე **კლიენტთან**, ასეთ შემთხვევაში **საკრედიტო პროდუქტის** (ან მისი რომელი ნაწილის/ტრანშის) გაცემა არ საჭიროებს დანარჩენი **კლიენტების** თანხმობას, ხოლო მათი ინფორმირების ვალდებულება საკრედიტო პროდუქტის (ან მისი რომელი ნაწილის/ტრანშის) გაცემის შესახებ ეკისრება **კლიენტს,** რომელმაც დადო **ბანკთან** შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულება.**

## 15. დასკვნითი დებულებები

15.1. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე** მათ სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

15.2. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. თავის მხრივ, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს **მესამე პირს** დაუთმოს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნები ან/და უფლებები ან/და **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება (მათ შორის წინსწრებით შესრულება, ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი ვალდებულების შესრულება).

15.3. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

15.4. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებებზე **ბანკის** მიერ უარის თქმის საფუძველს. ამასთან, ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

15.5. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

15.6. **ხელშეკრულებაში** ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

15.7. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, ხოლო **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები** განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებას** და **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითად პირობებს** მიენიჭება უპირატესობა სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში.

15.8. **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **ხელშეკრულებით**, ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულებებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

15.9. თუ რომელიმე **ხელშეკრულების** მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულების** დადებაზე **მხარეთა** ნების გამოვლენა ხორციელდება **მხარეთა** ხელმოწერით, **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს შესაბამისი **ხელშეკრულების** (მათი **დანართების** ჩათვლით) ყველა ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, ამასთან **კლიენტის** მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს შესაბამისი **ხელშეკრულების** ან მათი კონკრეტული ნაწილის საეჭვოდ ან სადავოდ გახდის საფუძველი.

15.10. დაუშვებელია რომელიმე **ხელშეკრულებაში** ხელით (მათ შორის კალმით ან/და სხვა საწერი საშუალებებით) რაიმე სახის ჩასწორების/კორექტირების შეტანა, ნებისმიერი ასეთი სახის ჩასწორება/კორექტირება ჩაითვლება ბათილად და ვერ მოახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

# №1 დანართი - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირ(ებ)ისგან/პირ(ებ)ისათვის

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ჩვენ (ბანკი) უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ მისი ქვემოთ მოცემული მესამე პირ(ებ)ისათვის (შემდგომში - მესამე პირები) გამჟღავნება ან ამავე მესამე პირ(ებ)ისგან თქვენ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ) განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და (გ) ემსახურება **ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვას**/ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს: | მონაცემების გადაცემა ან მოპოვება ხორციელდება: |
| | • **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, პირები, მათ შორის ფინანსური ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს ან/და ახორციელებს ერთობლივი პროდუქტებით მომსახურებას, დაფინანსებას, მათ შორის სახელმწიფო პროექტების ფარგლებში | • ერთობლივი პროდუქტებით მომსახურების მიზნით;<br>• ერთობლივი დაფინასების მიზნით;<br>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **კლიენტისთვის** (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საზედამხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საქართველოს ეროვნული ბანკი;<br>- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური;<br>- სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;<br>- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;<br>- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;<br>- სსიპ შემოსავლების სამსახური და სხვა საგადასახადო ორგანოები;<br>- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;<br>- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო; | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია);<br>• ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვის ან/და სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საკრედიტო საინფორმაციო ბიუროები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- სს ,,საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოსთან” (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტი;<br>- შპს „პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო“ (ს/კ 402008554), შპს „კაპიტალი“ (ს/კ 405094491) და სხვადასხვა პრობლემური აქტივების მართვის და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **კლიენტისთვის ბანკისა** ან/და **მესამე პირის** მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვის ან/და სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორები, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი VISA Inc;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი MASTERCARD Incorporated;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი UnionPay;<br>- H2H (პირდაპირი ჰოსტინგი, როდესაც საგადახდო პროვაიდერებს შორის ანგარიშსწორება ან ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების მონაწილეობის გარეშე) მონაწილე საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები (მაგ. UFC, სს „თიბისი ბანკი“ და UFC-ში მონაწილე სხვა კომერციული ბანკები, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „**ბანკი** ქართუ“ და სხვა);<br>- საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (გარდა კომერციული ბანკებისა, მაგალითად სს „ნოვა ტექნოლოჯი“, შპს „თიბისი ფეი“, შპს „მანი მუვერს“ და სხვა) ან/და მათი კონტრაქტორები (აღნიშნული პირები იყენებენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სერვისს და ამ სერვისის შესრულება ხორციელდება **ბანკის** მონაწილეობით, ესენია მაგალითად სს „თელასი“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და სხვა);<br>- საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები (მათ შორის და არამარტო The Western Union Company, MoneyGram International Inc., Zolotaya Korona და სხვა პირები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - http://libertybank.ge). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვის ან/და სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |

| | | |
|---|---|---|
| | • **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი), მათ შორის და არამარტო:<br>- სს „თელასი“;<br>- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“;<br>- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და სხვა პირები, რომლებიც მითითებულნი არიან **ბანკის** ადმინისტრირებად საგადახდო ვებ-გვერდზე - http://pay.ge. | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• **კლიენტისთვის ბანკისა** ან/და **მესამე პირის** მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **კლიენტის** იდენტიფიკაცია);<br>• ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვის ან/და სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| 2. | იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. | |
| 3. | **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნულ დანართში და **ბანკის** ადმინისტრირებად ვებ-გვერდებზე (მათ შორის და არამარტო http://libertybank.ge; http://pay.ge) მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. | |